



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზემი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი
შპატი
№2 (425)
(5777)
2017

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

ნოდერში წაიკითხათ:

როგორ აღინიშნა თბილისში მეორე მსოფლიო
ომში დაღუპულ ებრაელთა დღე — ჰოლოკოსტი,

გვ. 2

მალე ვიზიტი ხესედ ელიაჰუს 20 წლისთავს,

ამ თემაზე გვესაუბრებიან მენახემ ელაზარი და მალხაზ ნანიკაშვილი,

გვ. 3

მოშე დანიელი ეხმაურება ლილი ბააზოვის ახალ წიგნს;
ისრაელში გამოიცა საქართველოს
ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია,

გვ. 4

„გაიცანით თქვენი შვილები“ — ლია კრიხელის პროექტის
გამარჯვება;

გურამ ბათიაშვილის პიესა ბათუმის თეატრში,

გვ. 5

მერაბ ჩანჩალაშვილი:

„არ არსებობს აწმყო და მომავალი წარსულის გარეშე“;

გიორგი ბერნშტეინი:

„არავინ ხართ და არც თქვენი ბოდვაა აქტუალური“,

გვ. 6

რაბინ ავიმელეს როზენბლატის საკვირაო განსჯა,

გვ. 7

ყველაზე მდიდარი „რუსი“ ემიგრანტის მამული
ას მილიონ დოლარად იყიდება,

გვ. 8

მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ექვსი მილიონი ებრაელის ხსოვნის დღე თბილისში



27 იანვარი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2005 წელს მიღებული რეზოლუციის თანახმად გამოაცხადა და მიეძღვნა ოსვენციმის განთავისუფლების თარიღს-1945 წლის 27 იანვარს. ამდენად, ყოველ 27 იანვარს აღინიშნება ჰოლოკოსტის მსხვერპლთა დღე.

27 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველმა და საერთაშორისო ფონდმა „ლეა“ ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში გამართეს.

ღონისძიების გახსნისას დამსწრეთ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას.

ღონისძიება გახსნა საქართველოს სახალხო დამცველმა **უჩა ნანუაშვილმა**:

— დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური იდენტობის, შეზღუდული შესაძლებლობების, თუ სხვა ნიშნის გამო დამნაშავეებამ შეირაცხნენ და ნაცისტური ჯოჯოხეთის მსხვერპლნი გახდნენ. სწორედ ამიტომ, ჩვენ განგაშს უნდა ვტყუხდეთ ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის, დისკრიმინაციის სულ მცირე გამოვლინებაზეც კი, რათა ამ ბოროტებამ კვლავაც არ მოიკრიბოს ძალა, მასობრივ ტენდენციად და არნახული განადგურების იარაღად არ იქცეს. დღეს, კონფლიქტებით აღსავსე მსოფლიოში, რომლის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას

ტერორიზმი, ფუნდამენტალიზმი და ეთნიკური ნაციონალიზმის აღზევება წარმოადგენს, ბრძოლა ანტისემიტიზმსა და ქსენოფობიის გამოვლინებებთან, აქტუალურია ისე, როგორც არასდროს - განაცხადა მან.

მარინე სოლომონიშვილმა, საერთაშორისო ფონდი „ლეა“-ს და ებრაელ ქალთა საბჭოს ხელმძღვანელმა, აღინიშნა, რომ ჰოლოკოსტი არის მოვლენა, რომელიც ჩვენს ინდივიდუალურ, თუ კოლექტიურ მემკვიდრეობაში მუდმივად უნდა იყოს აღბეჭდილი. ჰოლოკოსტის ისტორიული მოვლენების გაანალიზებით, თანამედროვეობასთან პარალელის, გავლებით, შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორ გავაგრძელოთ ეფექტური ქმედება. მნიშვნელოვანია განვითარდეს ჰოლოკოსტის განათლება და კვლევა, სასწავლო პროგრამები, რათა ძირეულად და მყარად გვექონდეს გაცნობიერებული, რომ ჰოლოკოსტს, ანტისემიტიზმს, გენოციდს, კონფლიქტებს საფუძველი სწორედ მაშინ ეყრება, როცა იწყება ადამიანების შეფასება სტერეოტიპების მიხედვით, დაყოფა და დახარისხება ამა თუ იმ იდენტობის ნიშნით.

არის ცნობილი და უცნობი ისტორიები. ცნობილი ანა ფრანკის, ჰოლანდიელი ებრაელი გოგონას დღიურები — რამდენიმე წელია მსგავსი ისტორია გამოვლინდა. კერძოდ რუტკა ლასკერი, ე.წ. პოლონელი ანა ფრანკი. ის დაიღუპა ოსვენციმ



— ბირკენაუში 1943 წელს. რუტკას 60 გვერდიანი დღიური მისმა პოლონელმა ამხანაგმა, სტანისლავა საპინსკიმ ახლახანს მიიტანა იად ვა შემში (ისრაელის ჰოლოკოსტის მუზეუმი). 14 წლის გოგონას



დღიურში ასახულია, თუ რას განიცდიდა, გეტოში ცხოვრება, განცდა როდესაც მისი მცირეწლოვანი ძმა ნაცისტმა ჯარისკაცმა დედას ხელიდან გამოგლიჯა და შიშველი ხელებით თვალნი დაანარცხა და მოკლა, წერდა რომ ჯოჯოხეთში ცხოვრობდა, მაგრამ მაინც უნდოდა სიცოცხლე. მისი ბოლო სტრიქონია: „ეს ჩანანერები დარჩება მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტების ქმედებების ებრაელთა გენოციდის ამსახველად“.

ჰოლოკოსტის მსხვერპლთა დღეზე სიტყვით გამოვიდნენ: **ადელ ნინო**, ისრაელის საელჩოს პირველი მდივანი, კონსული; **მარიუმ მაშკიევიჩი**, პოლონეთის ელჩი საქართველოში; **იანუშ შერმანი**, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში; **ნილს სკოტი**, გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სულის მოსახსენებელი ლოცვა ნაიკითხეს რაბინმა **ავიმელეხ როზენბლატმა** და რაბინმა **ბეციონ იზრაელიშვილმა**. მონაწილეებმა დაანთეს სანთლები და პატივი მიაგეს ჰოლოკოსტის დროს დაღუპული 6 მილიონი ებრაელის, 2 მილიონი ბოშისა და ნაცისტური რეჟიმის ყველა სხვა მსხვერპლის ხსოვნას.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო მარინე სოლომონიშვილის გრაფიკული ნახატების გამოფენა თემაზე „ებრაელები და ჰოლოკოსტი“. ამასთანავე, ნაჩვენები იყო სლაიდ-ფოტოები, როლებზეც ასახულია ოსვენციმ — ბირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკის იმდროინდელი შემზარავი ფაქტები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური კორპუსის, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების, ებრაული სათემოს, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მედია.

სემინარი ჰოლოკოსტის თაობაზე

ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს — 27 იანვარს თბილისში სასტუმრო „მუზეუმი“ ახალგაზრდებისათვის გაიმართა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სემინარი „ჰოლოკოსტის ხსოვნა და განათლება უკეთესი მომავლისათვის“ („Holocaust Remembrance: Educating for a Better Future“).

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა **ნილ სკოტი**, გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში, **მარინე სოლომონიშვილი**, საერთაშორისო ფონდი ლეა-ებრაელ ქალთა საბჭოს პრეზიდენტი და **ქეთევან მჭედლიშვილი** „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო-ელსა“ პრეზიდენტი.

სემინარზე ლექცია და დისკუსია ჩაატარეს მარინე სოლომონიშვილმა და საბა ფიფიამ (თსუ-საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასისტენტი, დოქტორი; პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი). ისაუბრეს თემაზე: ჰოლოკოსტი, როგორც ისტორიული მოვლენა. თუ რამხელა კატასტროფა გამოაირა მსოფლიომ მეორე მსოფლიო ომის დროს, რომლის დროსაც მოხდა გენოციდი, 6 მილიონზე მეტი ებრაელის, ბოშების, ინვალიდთა და სხვა მრავალი ერის ხალხთა განადგურება, ფაქტების ანალიზი და იმაზე ბჭობა, როგორ დაუშვა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ნაცისტების აღზევება, რატომ დაირღვა უზენაესი უფლებანი ადამიანისა, რა საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმები იყო იმხანად, რამაც ვერ მოახდინა ამ კატასტროფის პრევენცია და სხვა.

შემდგომ, ნაჩვენები იყო დოკუმენტური საგანმანათლებლო ფილმი: „The Path to Nazi Genocide“ (მომზადებული ამერიკის ჰოლოკოსტის მუზეუმის მიერ). ფილმის ჩვენების შემდგომ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო-ელსა“-ს წევრებთან აღნიშნულ თემაზე გაიმართა დისკუსია.



საბანგაუო

ბანცხადება

პარტია AfD მომავალ არჩევნებზე გერმანიის ამჟამინდელი მმართველი ძალის სერიოზულ და რეალურ ალტერნატივას წარმოადგენს, გერმანიის მზარდი პოპულარობის მქონე მამარჯვენე პარტია AfD-ს წამყვანმა წევრმა, ბიორნ ჰიოკემ განაცხადა, რომ გერმანიამ უნდა შეწყვიტოს „ჰოლოკოსტის“ გამო თვითგვემა, ქვეყნის დედაქალაქში „ჰოლოკოსტის“ მემორიალს კი „სირცხვილის მონუმენტი“ უწოდა. მან აღნიშნა, რომ გერმანია ასევე იყო მეორე მსოფლიო ომში ჩადენილი სამხედრო დანაშაულებათა მსხვერპლი და მოკავშირეთა მხრიდან დრეზდენის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა გაიხსენა. მან პირობა დადო, რომ ქვეყნის სათავეში მოსვლის შემთხვევაში, მისი პარტია „ხელახლა გადაწერს ისტორიის წიგნებს“.

„ხესედ ელიაჰუ“ 20 წლისთავთან დაკავშირებით

როგორ დაპიჯებით?

მენახემ ელაზარი

„ჯოინთის“ პირველი წარმომადგენელი სამხრეთ რუსეთში და კავკასიაში

American Jewish Joint Distribution Committee - ამერიკელ ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტი, „ჯოინთი“ ასეა ცნობილი მსოფლიოში, მას ას ნელზე მეტი ისტორია აქვს — შეიქმნა 1914 წელს პალესტინაში მცხოვრებ ებრაელთა დასახმარებლად.

მას შემდეგ 50 ქვეყანაში მოქმედებს და მისი ძირითადი მიზანია გაჭირვებულ და მოხუცებულ ებრაელი მოსახლეობის დახმარება. აღმოსავლეთ ევროპაში და კერძოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში, „ჯოინტმა“ ებრაელების დახმარება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში განაახლა.

1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ცხადია, ამ გარემოებამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო საქართველოს მოსახლეობა და მათ შორის ებრაული თემიც რომლის უდიდესი ნაწილი უმუშევარი და მიხუცებული იყო.

„ჯოინთის“ წარმომადგენლობა 1992 წლის ბოლოს გაიხსნა თბილისში. ცხადია, პირველივე დღიდან შევუდექით ადგილობრივი ებრაული ორგანიზაციების მეშვეობით ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებას და კერძოდ აუცილებელი საკვები სურსათის მიწოდებას. აღმოჩნდა რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჭირვებაში იყო და მათი რიცხვი მრავალ ასეულს შეადგენდა. მათ შორის იყვნენ მოხუცები რომელნიც არა მარტო საკვებს, არამედ მედიკამენტებს საჭიროებდნენ და აუცილებელ მედიკამენტებს. ამიტომ საჭირო გახდა სპეციალური ჩამოყალიბება, რომელნიც სისტემატურად იმოქმედებდნენ დაგეგმილად. ასეთივე მდგომარეობა იყო ყოფილ

საბჭოთა რესპუბლიკების დარჩენილ ებრაულ მოსახლეობაში. „ჯოინთის“ სანკტ-პეტერბურგის სპეცსხდომაზე მივიღეთ გადაწყვეტილება ებრაული სახლების „ხესედ-სიკეთე“ წოდებული დაარსების შესახებ. პირველი საცდელი ხესედი დაარსდა სანკტ-პეტერბურგში და მშვენივრად გაართვა თავი დასახულ დავალებას.

ცხადია, ასეთი სახლების დაარსება საჭიროებს ფულად სახსრებს რომელიც ითვალისწინებს მრავალწლიან მოქმედებას. მივმართე რა თხოვნით შესაბამისი მონაცემებით და დასკვნებით „ჯოინთის“ ხელმძღვანელობას, მიპასუხეს, რომ არსებულ ეტაპზე არა არის გეგმაში ხესედის გახსნა საქართველოში. დაჟინებით მოთხოვნების და ფაქტების შემდეგ სტენლი აბრამოვიჩმა („ჯოინთის“ რეგიონალური დირექტორი) მიჩნია მიმემართა ერთ-ერთი ამერიკული ებრაული ფონდისათვის რომლის გენერალური დირექტორი იყო რაბინი ჯოზეფ შოინვალდი — ძალიან კეთილი და კაცთმოყვარე პიროვნება. შევთავაზე საქართველოში მოგზაურობა, რათა პირადად გაცნობოდა სინამდვილეს. ერთ კვირიანი ვიზიტის შემდეგ გაეცნო და მოინახულა თბილისის, გორის, ქუთაისის სალოცავები და თემი. მითხრა: „მენახემ“ ჯერ არ მინახავს ქვეყანა სადაც ასეთი გაჭირვება (სინათლე, წყალი, სურსათი და სოციალური დაცვა) არ აქვთ და ამავე დროს მათი სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა უსაზღვროა. ჩანს, რომ საქართველოს ებრაელობამ მტკიცედ და თავდადებით შეინარჩუნა საუკუნეების განმავლობაში რელიგია და ებრაული ტრადიციები, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ფონდის დირექტორთა საბჭოზე მაქსიმალური თანხა გამოიყოს საქართველოში ხესედის გასახსნელად.

ბ-ნმა ჯოზეფ შოინვალდმა დანაპირები კაცუ-



რად შეასრულა და ვიზიტის ერთი თვის თავზე მაცნობა რომ ხესედის შესაქმნელად და სამოქმედოდ (რამდენიმე წლით) გამოიყო სოლიდური თანხა.

ცხადია, გულმოდგინედ შევუდექით ამ ისტორიული საქმის კეთებას და 1997 წლის მარტში გაიხსნა „ხესედ ელიაჰუ“ და იმ დღიდან არცერთი გაჭირვებული ებრაული ოჯახი და მოხუცი არ დარჩა მიუხედავად.

მსურს მადლობა გადავუხადო მდროის ებრაულ ორგანიზაციებს და ებრაელ მოღვაწეს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ისტორიულ საქმეში: ესენი არიან: რიკვა კრუპნიკი, ფინხას ნანიკაშვილი, ლული შათაშვილი, გურამ ბათიაშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, რაბინი არიელ ლევინი, მალვა წინუაშვილი, ზაირა დავარაშვილი, ემილ კრუპნიკი, ლენა ბერკოვიჩი, ლეა კრისელი, მორის ფინჩაძე, მოსე დანიელაშვილი და სხვები.

„ხესედი ელიაჰუ“ 20 წლისაა

ფილხან (მალხან) ნანიკაშვილი

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედი ელიაჰუ“ გაიხსნა 1997 წლის 3 მარტს ქ. თბილისში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქართველოს ებრაელობის ცხოვრებაში ერთ-ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი მომენტი იყო.

მე ბედმა წილად მარგუნა და მხვდა უდიდესი პატივი, ვყოფილიყავი „ხესედი ელიაჰუ“-ს პირველი დირექტორი.

ხესედის ჩამოყალიბებას, შექმნასა და მის გახსნას მეტად საინტერესო ისტორია აქვს, რომელიც შეიძლება ითქვას, ჩემს თვალწინ ვითარდებოდა.

მოგეხსენებათ, რომ ხესედი გაიხსნა ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის „ჯოინთის“-ს უშუალო დახმარებითა და ხელშეწყობით. 1992 წლიდან, რაც „ჯოინთმა“ დაიწყო მუშაობა საქართველოში, მისი პირველი წარმომადგენელი იყო ბატონი მენახემ ელაზარი. შეიძლება გულწრფელად ითქვას, რომ მას დიდი წვლილი და ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ებრაელობის მსოფლიო ებრაელობასთან დაკავშირების, ინტეგრაციისა და თანამშრომლობის საქმეში.

1996 წელს ბატონმა მენახემმა მიმინვია „ჯოინთი“-ში ადგილობრივი ოფისის დირექტორის თანამდებობაზე სამუშაოდ. ამ პერიოდში იწყება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, და კერძოდ რუსეთში „ხესედი“-ს გრანდიოზული პროექტის განვითარება.

ეს პროექტი გათვალისწინებული იყო იმისთვის, რომ აღმოეჩინათ საქველმოქმედო დახმარება მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილისთვის, განსაკუთრებით, იმ მოხუცებისა და ინვალიდებისათვის, რომლებსაც ძალიან გაუჭირდათ საბჭოთა კავშირში არსებული სოციალური დახმარების სისტემის მოშლისა და დანგრევის შედეგად. სანყის ეტაპზე ეს პროექტი ვითარდებოდა და იწვევებოდა ებრაელებით მრავალრიცხოვნად დასახლებულ ქალაქებსა და რეგიონებში. საქართველოში ამ პროექტისა და საერთოდ „ხესედი“-ს შესახებ არც თუ ისე ბევრ ადამიანს ჰქონდა წარმოდგენა.

რაც მე მახსენდება, საქართველოში იმ პერიოდში საქველმოქმედო სოციალურ პროგრამებს ახორციელებდა ძირითადად მხოლოდ ორიოდე ორგანიზაცია - ებრაელ ქალთა ორგანიზაცია

„მირიამი“ (ხელმძღვანელი ქალბატონი რივა კრუპნიკი) და „არხამიმი“ (ხელმძღვანელი ბატონი ალექსანდრე როზენბლატი). აქვე მინდა დავძინო, რომ ამ პერიოდისათვის მათი ფინანსური, ეკონომიური საშუალებები და რესურსები ერთობ შეზღუდული იყო. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად მოხალისეებზე (ვოლონტიორებზე) იყო დამყარებული, რისთვისაც ეს ადამიანები უდიდეს, გულწრფელ მადლობასა და აღტაცებას იმსახურებენ.

1996 წლის ზაფხულის ბოლოს, ერთ-ერთ საღამოს მენახემმა მითხრა, რომ გადაწყვეტილი აქვს თავისი საქმიანობა დაამთავროს საქართველოში და კერძოდ „ჯოინთი“-ში, მაგრამ დიდი სურვილი აქვს საქართველოს ებრაელობას დაუტოვოს მეტად მნიშვნელოვანი პროექტი. მაშინ გავიგე პირველად „ხესედი“-ს შესახებ ძალიან ზოგადი და მწირი ინფორმაცია. ბატონმა მენახემმა აგრეთვე თქვა, რომ ამ წლისთვის „ჯოინთი“-ს ბიუჯეტი უკვე განერილია და თავისუფალი ფინანსები არ არის. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი ესაუბრა „ჯოინთი“-ს სოციალური პროგრამების დირექტორს ბატონ ამოს ავგარს (ამ პიროვნების ღვაწლი, მართლაც, შეუფასებელია ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელობის გადარჩენაში, დაიხ, ფიზიკური გადარჩენის საქმეში), რომელმაც შესთავაზა პიროვნებების კოორდინატები, რომლებიც თანამშრომლობდნენ „ჯოინთი“-თან და აფინანსებდნენ მის პროექტებს. თუ თქვენ დაინტერესებთ მათ და ისინი დაგეხმარებიან, ჩვენ არ ვიქნებით წინააღმდეგობა აღნიშნა ბატონმა ავგარმა.

ასე გაჩნდა პირველად ცნობილი საქართველოში ამერიკული ფონდი „Abraham and Sonia Rochlin Foundation“ და მისი დირექტორი ბატონი რაბი იოზეფ შონვალდი.

ბატონ რაბი იოზეფ შონვალდს, პირველი ვიზიტის დროს საქართველოში გავაცანიე ებრაელების ცხოვრება ქალაქებში - თბილისი, გორი, ქუთაისი. იგი აღაფრთოვანა იმან, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ებრაელობას აქ შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი ცხოვრების წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და მიუხედავად ცხოვრების გაუსაძლისი პირობებისა და უარესად დიდი სიდუხჭირისა, ერთი ნუთითაც არ შენ-

ყვეტილა ეს ყველაფერი და პირიქით ღირსეულად გრძელებოდა.

მისი ვიზიტთან ცოტა ხნის შემდეგ ქ. თბილისში უკვე დაიწყო სამზადისი „ხესედი“-ს ჩამოყალიბებისათვის. შეირჩა ადგილი (თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. 35), შენობა და დაიწყო ამ შენობის რემონტი და მომზადება ფუნქციონირებისათვის. არ შეიძლება არ აღინიშნოს მოსე დანიელაშვილის (იგი ხელმძღვანელობდა რემონტს) ის დიდი მუშაობა, მაღალი პროფესიონალიზმი და გულისხმიერება, რომელიც მან გამოიჩინა ხესედის შენობის სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების შესრულებისას.


თბილისში ჩამოვიდა და ჩვენი „ხესედი“-ს ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა „ხესედი“-ს პროექტების ხელმძღვანელმა ბატონმა ისრაელ (შარლი) საბაგმა. მან თავის გუნდთან ერთად თითქმის შეუძლებელი შეძლო და თავისი რჩევებისა და კონსულტაციების დახმარებით თბილისში უმოკლეს ვადებში შეიქმნა „ხესედი“-ს ინფრასტრუქტურა.

თუ დამერწმუნებით, ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო შემთავაზება ვყოფილიყავი „ხესედი“-ს პირველი დირექტორი. იმ პერიოდისათვის თბილისის „ჯოინთი“-ში მიდიოდა კონკურსი-შერჩევა (გასაუბრება) ამ თანამდებობის დასაკავებლად. განიხილებოდა სხვა და სხვა კანდიდატურები, რომელთა შორის მე არ მოვიაზრებოდი.

ერთ-ერთ საღამოს ისრაელ საბაგი მეუბნება, რომ „ხესედი“-ს დირექტორი ვიქნები მე. მე მას ვუთხარი, რომ საერთოდ არ ვიცნობ ამ სფეროს და არავითარი გამოცდილება არ მაქვს. მან მითხრა, რომ დამეხმარებოდა „ხესედი“-ს სტრუქტურის გაცნობაში და მიმავლინეს ქ. ქიევი და ქ. სანკ-პეტერბურგში, სადაც იმ დროისათვის უკვე ფუნქციონირებდა ყველაზე დიდი „ხესედი“-ს როდესაც გავეცანი ამ სფეროში მუშაობას, - მივლინების დასასრულს, ქ. სანკ-პეტერბურგში, შეხვედრა მქონდა ბატონ ბატონ ისრაელ საბაგთან და მან მითხრა: ახლა ხომ იცი, რა არის „ხესედი“ და რა მიზნებს ემსახურება იგი. წადი და გააკეთე ისეთი „ხესედი“, როგორც წარმოგიდგინია. და მართლაც, „ჯოინთი“-დან და ბატონ ისრაელ საბაგიდან მე მქონდა ყოველგვარი თანადგომა.

მინდა სიამაყით განვაცხადო, რომ ჩვენი „ხესედი“-ს (დასასრული მე-7 გვერდზე)

ბაზოვის გენის კიდევ ერთი გაბრწყინება



საქართველოს ებრაელთა ისტორიოგრაფიას კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი შეემატა — მოსკოვის გამოცემლობა „გალაქტიკა“-მ, 2016 წელს გამოსცა აღმოსავლეთმცოდნე დოქტორ ლილი ბაზოვის ნიგნი „ებრაელები საქართველოში“. (ნარკვევები სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-რელიგიური ცხოვრების ისტორიიდან).

დოქტორ ლილი ბაზოვის მიერ ნაშრომი შექმნილია 1995-2006 წლებში გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდში შესრულებული მეცნიერული კვლევების საფუძველზე.

ნიგნი წარმოადგენს მონუმენტალურ და კონცეპტუალურ მონოგრაფიას, რომელიც წარმოგვიჩენს საქართველოს ებრაელების ცხოვრებას საქართველოში მოსვლიდან უახლოეს დღეებამდე. საქართველოს ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი და გარკვეულწილად დრამატული ეპოპეა განხილულია არა მხოლოდ საქართველოს ისტორიის კონტექსტში, აგრეთვე მსოფლიო ისტორიის ფონზე.

ნაშრომი დამყარებულია არა მარტო არსებულ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებზე, არამედ ისტორიული დოკუმენტების დიდ რაოდენობაზე, რომელთაგანაც ბევრი პირველად ქვეყნდება.

მონოგრაფიაში თანმიმდევრულად წარმოდგენილია საქართველოს ებრაელების ისტორიის დასაბუთებული კონცეპცია.

ნაშრომი თავისი შინაარსით — მცხეთაში მოსვლიდან დღემდე, მოცულობით 830 გვერდი და მეცნიერული დასაბუთებებით უაღრეს ინტერესს აღძრავს.

ნიგნი გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე და განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გამოქვეყნება ქართულ ენაზე, რადგანაც იგი ეხება საქართველოს ებრაელთა ისტორიას, ასევე ებრაულ ენაზე, იმიტომ რომ ის ეხება მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ერთ-ერთ ებრაულ თემს და ასევე ინგლისურ ენაზე, იმიტომ რომ საქართველოს ებრაელთა თემი მსოფლიო ებრაელობის შემადგენელი ნაწილია.

პროფესორი მოჰა დანიელი (მოსა დანიელაშვილი)
ისრაელის უნივერსიტეტი, ისრაელი

სანაქებო წამოწყება

ჩინებული, ერთობ სანაქებო განზრახვა გაუსრულებია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს შალვა ნინუაშვილს — „ქართველ ებრაელთა პოეზიის ანთოლოგიის“ შედგენა და გამოცემა.

ეს კრებული (კრებულს ვუნოდებთ, რადგან ანთოლოგია მაინც საუკეთესოთა შორის საუკეთესო ავტორების — ნაწარმოებების შერჩევასა და გამოცემას გულისხმობს), უკვე გამოიცა და ვვარაუდობთ, რომ არა მხოლოდ კრებულში შესულ ავტორთა, ბევრი ქართველი ებრაელის ოჯახის სასურველ შენაძენად იქცევა და თავის ადგილს დაიმკვიდრებს მათს ყოფაში.

ამ კარგი ნამონწყობის პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორია შალვა ნინუაშვილი, სარედაქციო კოლეგიის წევრები: გერმონ ბენორენი—ნინუაშვილი, ნანა შაბათაშვილი და ნუგზარ ჯანაშვილი.

როგორც მთავარ რედაქტორს, ასევე კოლეგიის წევრებს დიდი სამუშაო ჩაუტარებიათ იმისათვის რომ თავი მოეყარათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველი ებრაელი ავტორებისათვის. ზოგი ამათგანის შემოქმედება ჭეშმარიტი პოეზიის სხივითაა გასხივოსნებული, ზოგს კი პოეზიის, ქართული ლექსის მოყვარულის ბეჭედი აზის და პოეზიასთან შორეული ნათესაობა თუ აკავშირებთ, მაგრამ ყველა ერთ გარეკანშია მოქცეული—მომავალში ანთოლოგია, ალბათ, ამ კრებულის მიხედვითაც უნდა შეიქმნას.

კრებულს უძღვის მწერლისა და ჟურნალისტის ნუგზარ ჯანაშვილის შესავალი წერილი, რომელშიც საუბარია ქართველთა და ებრაელთა 2600 წლოვან თანაცხოვრებაზე—კრებულშიც ამ დიდ თარიღს ეძღვნება. იხსნება კი კრებული სულ სეფი-აშვილის სტრიქონებით.

„საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგიაში“ შესულია 65

(სამოცდახუთი) ქართველი ებრაელის ლექსები, ავტორები დალაგებულია ანბანის მიხედვით — ესენი არიან სრულიად სხვადასხვა ეპოქაში, სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში მცხოვრები ქართველი ებრაელები — იქნება ეს ტრაგიკული ბედის გამოჩენილი შემოქმედი გერცელ ბააზოვი, თუ ასევე ტრაგიკულად დაღუპული — ბრმა შემთხვევის მსხვერპლი მიხეილ (მიშკა) აჯიაშვილი, ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები გიორგი ხუხაშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, თუ რობერტ ადარი და დათა აჯიაშვილი.

კრებულში წარმოდგენილი ლექსების ავტორები სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრობენ — საქართველოში, ისრაელში, ბელგიასა, თუ შვედეთში შტატებში, ე.ი. სხვადასხვა მათი მსოფლშეგრძნება, მოვლენებისადმი დამოკიდებულება, მაგრამ თვალნათლივ იკვეთება მთავარი თემა: მათი მუზის წარმართველი გახლავთ საქართველოსა და ისრაელის სიყვარული, რწმენა, მისადმი ერთგულება, როგორც დასტური ეროვნული იდენტობისა.

ერთი საყურადღებო გარემოება: ცხადია, ამოდენა კრებულში (იგი A4 ფორმატის 522 გვერდს მოიცავს) ყოველი ლექსივერ იქნება შემოქმედებითი სიხარულის მომნიჭებელი, თუმცა, მოყვარულთა თხზულებებს გულწრფელობის ბეჭედი აზით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში — ლექსი მაღალი პოეტური დონისა იქნება, თუ მოყვარულის ხორკლიანი ოპუსი, ყოველი ნაწარმოები ქართული პოეზიის ანასტლეტია — თითოეული ავტორი ქართული პოეზიის ტრადიციაზე აღზრდილი, მათი მუზა სათავეს სწორედ აქ იღებს. ამდენად, ეს დიდი, კარგად გამოცემული კრებული (იგი მაგარ გარეკანშია ჩასმული) ქართული პოეზიის ნაწილია. მათი ავტორები მეოთხედი საუკუნეა, ზოგ შემთხვევაში გაცილებით მეტიც, ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყნებ-


ში—საქართველოდან შორს, მაგრამ გულის ნადებს ქართულად გამოსთქვამენ. საქართველოს ებრაელობა გულისხმობს აშკენაზე, ყუბელ, ლახლუხა და სხვ. ებრაელობას. კრებულში კი წარმოდგენილია ქართველ ებრაელთა ლექსები.

გაოცება გამოიწვია ერთმა გარემოებამ— კრებულში არ არის წარმოდგენილი ჭეშმარიტი პოეტის იაკობ ჩიკვაძის არცერთი ლექსი. იაკობ ჩიკვაძე იყო ათეულ წელზე მეტია წუთისოფელს გაეცალა, მაგრამ ვიდრე არსებობდა, ჩინებულ ლექსებს ქმნიდა. მისი პოეტური ოსტატობა გამორჩეული გახლდათ, მას არა მხოლოდ ემოცია ამოძრავებდა, სათქმელის დინჯი გააზრება და ცხადი წარმოჩენა.

ისიც გულდასაწყვეტია, რომ ამ კრებულში არ შევიდა პოეტ ფაშა ციციანიშვილის ლექსები. ფაშა ციციანიშვილი, ერთობ ნიჭიერი პოეტი მოუწყობელი ყოფის მსხვერპლი გახლდათ — ადრე გაეცალა წუთისოფელს, მისი ლექსები, „ცისკრის“, „მნათობის“ ფურცლებზე რომ იბეჭდებოდა (მერე პოეტური კრებულები გამოსცა) საერთო ყურადღებას იქცევდა. მახსოვს, რაოდენ პერსპექტიულ პოეტად მიიჩნევა სიმონ ჩიქოვანი.

ამ კრებულში ადგილი უნდა დათმობოდა იანა ჯინის ლექსებს. ჩინებულ ქართველი ებრაელი პროზაიკოსის ნოდარ ჯინი — ჯინჯინაშვილის ქალიშვილი — იანა სანიტერსო, მიმზიდველი ლექსების ავტორია. რუსეთში გამოცემულ მისი ლექსების კრებულისათვის წინასიტყვაობა თვით ნობელიანტმა იოსებ ბროდსკიმ დაწერა. ეს იმიტომ რომ იგი ჭეშმარიტ პოეტთა კოპორტას განეკუთვნება.

არც ბესო მიხელაშვილის (ისრაელი) და ისაკ მიხელაშვილის (ბუდა-



პეშტი) ემოციური ლექსები ავნებდა კრებულს.

ისიც უნდა ითქვას: კარგია, რომ სარედაქციო კოლეგია ავტორთა ბიოგრაფიას გვამცნობს, მაგრამ მეტი ყურადღება იყო საჭირო. საინტერესოა ერთი მაგალითით დაკმაყოფილებით: როცა პროზაული ნაწარმოები სცენაზე გადადის, ინერება არა სცენარი, არამედ რომანის, მოთხრობის ინსცენირება.

კვლავ სამი შესანიშნავი ქართველი ებრაელის პოეტის ლექსებს ვუბრუნდებით (ალბათ, სარედაქციო კოლეგიის ყურადღების მიღმა სხვებიც დარჩნენ!): კრებულში მათი ლექსების შეუტანლობა, ცხადია, გულდასაწყვეტია, მაგრამ ეს განცდა ვერაფრით ვერ გადაფარავს იმ კარგი საქმის მნიშვნელობას, რომელიც შალვა ნინუაშვილსა და სარედაქციო კოლეგიას ჩაუტარებია.

25%-ით უმცირდა

ისრაელში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში 25%-ით შემცირდა ონკოლოგიური დაავადების შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი. ამ დაავადების მატარებელთა აღრიცხვიანობით ისრაელი 34 ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის მე-18 ადგილზეა. ხოლო ამ დაავადებულთა სიკვდილიანობის რაოდენობით 28-ე ადგილზე. ისრაელში ყოველ წელიწადს ონკოლოგიური ავადმყოფი ხდება 29 ათასი ადამიანი, ამათგან 11 ათასი ილუპება.

კიბოს დაავადების ასოციაციამ ეს მონაცემები გამოაქვეყნა ონკოლოგიურ დაავადებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით., აქვე აღნიშნულია, რომ პერიფერიის რეგიონებში 8%-ით მეტია ონკოლოგიური დაავადების საშიშროება, ვიდრე ქვეყნის ცენტრში. კიბოსთან ბრძოლის ასოციაციის გენერალური დირექტორი მირი ზივი მიიჩნევს, რომ მკურნალობის თანამედროვე მეთოდის გამოყენება 50%-ით შეამცირებს სიკვდილიანობას.

ლია კრიხელის თაოსნობა

მანანა ღუმბაქა

გასული წლის 21 დეკემბერს ისრაელში, ქ. ბათ-იამის საკონცერტო დარბაზ „აუდიტორიუმში“ ბათ-იამის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გაიმართა ქართველ ებრაელთა თემის ღვანდომოსილი წევრისა და პედაგოგის, საქართველოში პირველი ებრაული ულპანის დამაარსებლის და ქართულ-ებრაული ურთიერთობების მოამაგის, ქალბატონი ლია კრიხელის პროექტის „გაიცანით თქვენი შვილები“ მორიგი საზეიმო წარდგინება (2016 წლის ნაკადი). წლებგანდელ წარდგინებაში, ისევე, როგორც წინა წლებში, „აუდიტორიუმის“ სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ საკვანძო სფეროებში (სამხედრო, განათლების, სამედიცინო, სამართლის, პოლიტიკის, სახელოვნებო) წარმატებული ისრაელი ახალგაზრდები, რომლებიც დღეს ხსენებულ სფეროებში წამყვან პოზიციებს იკავებენ და ისრაელში ქართველ ებრაელთა თემს ღირსეულად წარმოაჩენენ. საღამო ტრადიციულად მიჰყავდა პროექტის ავტორს ლია კრიხელს. საღამოს ესწრებოდნენ ბათ იამის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, წარჩინებულ ქართველ ებრაელთა ფართო საზოგადოება და ისრაელში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ლია „მენორას“ ხშირი სტუმარია, დღეს პირველად გვინდა პირადად მისგან გავიგოთ, რატომ დასჭირდა მას ქართველ ებრაელთა თემისთვის და არამარტო მისთვის, მთელი ისრაელისთვის განსაკუთრებული კუთხიდან დაენახებინა მის წიაღში აღზრდილი ქართველი ებრაელების ახალი თაობის დღევანდელი წარმატებები და პერსპექტივები. მათთვის, ვინც ამ თაობის ღირსეულად აღზრდა-განვითარებაზე იზრუნა, სტიმული მიეცა თამამად ეამაყათ თავისი მონაგარით და ბედნიერებით აღვსილებს კიდევ უფრო

თავანულებს ევლოთ დიდი ისრაელის სახელმწიფოს ყოველ კუთხეში.

სწორედ ამის შესახებ სასაუბროდ ვექვეყე ამ უპრეცედენტო პროექტის ავტორს, ქალბატონ ლია კრიხელს და დარწმუნებული ვართ, თქვენც დიდი ინტერესით მოუსმენთ ქვემოთ ნაამბობს.

ლია კრიხელი: „მისი უდიდებულესობა შემთხვევა“ ანუ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე. ამ გამოთქმის ჭეშმარიტებაში ბევრჯერ დამარწმუნა ცხოვრებამ. მაშინაც, როცა თბილისში ებრაული ენის შემსწავლელი სკოლა-სტუდია „ულფანი“ დავაარსე, მაშინაც, როცა იერუსალიმის უნივერსიტეტში ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს შევხვდი. ის შემთხვევა კი, როცა იერუსალიმის თეატრში ვესწრებოდი პრემიერ მინისტრის პრიზის მინიჭების ცერემონიალს მუსიკის დარგში, აღმოჩნდა გადამწყვეტი ჩემს ცხოვრებაში იმ მოსაზრებით, რომ იქ დაიბადა პროექტის „გაიცანით თქვენი შვილები“ იდეა. როდესაც სცენაზე სხვა მონაწილეთა შორის, ჩვენი თემის შვილი, ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ლამაზი, 36 წლის კომპოზიტორი, ხანა აჯიაშვილი ვიხილე, სიხარულისა და სიამაყის უდიდესი გრძნობით აღვივსე. შინაგანი ხმა კი მიკვირებდა: ეს შენ უნდა ამცნო, შენ უნდა გაუზიარო ყველას ნანახი და განცდილი. განა ხანა ერთი ოჯახის შვილია? იგი ჩვენი შვილია, თქვენი შვილია და სათაურიც აქედან ამოტივტივდა. დავიბარე ხანა, გავესაუბრე, ჩავინერე, გადავეცი ისრაელის ქართულენოვანი რადიოთი და როდესაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა, მაშინ გადაწყვიტე გამეფართოებინა ამ საკითხზე მუშაობა და მეამბნა თავის სფეროში განსაკუთრებული წარმატებების მქონე ახალგაზრდების შესახებ საქართველოს ებრაელთა თემიდან.

— ვინ დაგეხმარა, ქალბატონო




ლია ამ კეთილშობილური საქმის განხორციელებაში?

— უდიდესი მადლიერების გრძნობა მინდა გამოვხატო ქართული რადიოს მესვეურთა, ბატონ რეუვენ ენოხისა და ქალბატონ მერი ამშიკაშვილის მიმართ, რომელთაც ფართოდ გაუღეს კარი ამ პროექტს. აგრეთვე საქართველოში გამომავალ ჟურნალ გაზეთების რედაქტორებს — სწორედ ამ ადამიანებს მიუძღვით დიდი წვლილი ამ პროექტის პოპულარიზაციის საქმეში. აგერ, უკვე რვა წელიწადზე მეტია, რაც წარვადგინე ასზე მეტი ახალგაზრდა ჩვენი საზოგადოების წინაშე, რომელთა წვლილი ფასდაუდებელია ისრაელის აღმშენებლობის კეთილშობილური საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციურ გარდატეხასაც კი ახდენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის თითქმის ყველა სფეროში, იქნება ეს მედიცინა, იურისპრუდენცია, სამხედრო საქმე, ინფრასტრუქტურა, სპორტი, ხელოვნება, მეცნიერება, თუ უმაღლესი ტექნოლოგიები. მათი სახელი დიდი ხანია გასცდა ისრაელის ფარგლებს და ამიტომაც დიდი სიამაყის გრძნობით ყოველი

წლის ნაკადის მონაწილეებს წარვადგენ ქ. ბათ-იამის „აუდიტორიუმის“ საკონცერტო დარბაზში. ეს მღელვარებით აღსავსე საღამოები ამ ახალგაზრდების „თემის წარჩინებულნი“ სიგელით დაჯილდოების ცერემონიით მთავრდება და რაღა თქმა უნდა, მხატვრული ნაწილიც ახლავს. ასე მოიპოვა ამ პროექტმა დიდი გამოხმაურება ჩვენი თემის წევრთა შორის და არა მხოლოდ თემის — მას კარგად იცნობენ უკვე საზღვარგარეთაც. „ეძიებდენ და ჰპოვებდენ“ ნათქვამია. მე ვეძებ და ვპოულობ კიდევ, მაგრამ ვერაფერს გავხდებოდი ჩემი მეგობრებისა და ახლობლების დახმარების გარეშე, რომლებიც მთავრობენ კანდიდატებს პროექტის კრიტერიუმების შესაბამისად. ყველას უღრმესი მადლობა თანადგომისათვის და განსაკუთრებული მადლობა ჩემს ორ ქალიშვილს, ეთერის და ნანას ფინანსური მხარდაჭერისათვის. ისინი თვლიან, რომ თემისთვის საშური საქმე კეთდება. ასე რომ, მე ვაგრძელებ მუშაობას — მომავალშიც გაიცანით თქვენი შვილები! გაიცანით და იმაყეთ, ისინი ამას ჭეშმარიტად იმსახურებენ!

„სამშობლო მცირეთა და მრავალთა“ ბათუმის თეატრში

28 და 29 იანვარს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო თეატრში გაიმართა გურამ ბათიაშვილის პიესის „სამშობლო მცირეთა და მრავალთა“ პრემიერა, რომელშიც ასახულია მე-12 საუკუნის საქართველოს სამეფო კარის ცხოვრება. სპექტაკლისათვის დაბეჭდილ პროგრამაში ვკითხულობთ: „საქართველოს ოქროს ხანა — თამარის ეპოქა. ამირთ-ამირა აბულასანი სამეფო დარბაზის რამდენიმე წევრს იხმობს თავისთან. კამერულ სივრცეში დაძაბული საუბარი იმართება: ვის მოჰგვირან ქმრად თამარ მეფეს — ექსორიაქმნილ იური ბოგოლუბსკის, თუ ბერძენ კომინოსს. ფაქტობრივად ეს პარტიის შიდაპოლიტიკური, ანგარებაზე გათვლილი დიალოგია, რასაც პიესის ბოლოს სამეფო დარბაზის უმცირესობის წევრებიც უერთდებიან. რა შეთანხმებამდე მივლენ ისინი? ამაზე მოგვითხრობენ დრამატურგი გურამ ბათიაშვილი და რეჟისორი ზურაბ სიხარულიძე ბათუმის ახალ სცენაზე“.



სპექტაკლი დადგა ზურაბ სიხარულიძემ, მხატვარია სცენოგრაფი — თეო კუხიანიძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის თენგიზ შამილაძეს, მხატვრული განათება დავით დიასამიძეს, ხმის ოპერატორია დავით ნაკაშიძე, რეჟისორის თანამემწე — ზვიად მურვანიძე. სპექტაკლში როლებს ასრულებენ: ზაალ გოგუაძე (აბულასანი), ავთანდილ ქარჩავა (ფარნავაზისძე), ზაზა ზოიძე (ჯორჯიკისძე), ჯემალ ველიაძე (გაბაონი), ნოდარ იაკობაძე (ივანე ფალავანდი), დავით წერეთელი (ბალათერ თარხანისძე), გოგიტა მეგრელიძე (ტიმოთე) და ჯუმბერ კახიძე (შიკრიკი). სპექტაკლმა მაყურებლის ცხოველი ინტერესი დაბადა და გულთბილად იქნა მიღებული.

თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა და საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირმა შეაჯამეს გასული წლის თეატრალური ცხოვრება: კ მარჯანიშვილის თეატრში შოლომ ალენის ნაწარმოებების მიხედვით ლევან ნულაძის მიერ დადგმული სპექტაკლი „Begalut - უცხოობაში“ რამდენიმე ნომინაციაში გამოირჩა. ჟიური ადგენდა საუკეთესო ხუთეულებს, „Begalut - უცხოობაში“ მოხვდა წლის საუკეთესო სპექტაკლების ხუთეულში, ასევე წლის საუკეთესო რეჟისორის ხუთეულში. წლის საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ხუთეულში მოხვდა მამის როლის შემსრულებელი ბესო ბარათაშვილი, ხოლო წლის საუკეთესო მსახიობ ქალთა ხუთეულში მოხვდნენ მანანა კახაკოვა და ბაია დვალისხილი. * * * თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა და საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირმა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი გურამ ბათიაშვილი სათეატრო კრიტიკის მხარდაჭერისა და განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

მ. ჩანჩალაშვილი: „არ არსებობს აწმყო და მომავალი წარსულის გარეშე“

მინდა მივესალმო ყველას, სტუმარს და მასპინძელს, თუმცა უფრო უპირიანი იქნება ვთქვათ რომ აქ არ არიან სტუმრები, არამედ ყველა ვიმყოფებით ჩვენს სახლში მასპინძლის როლში. იმ სახლში რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს ებრაელობისა და ისრაელის სახელმწიფოს ერთობის სიმბოლო საქართველოში, ისევე როგორც საქართველოში არსებული სინაგოგები, რომლებიც ყოველგვარი დავალებების თუ დაფინანსების, პოლიტიკური და ბიზნეს ინტერესების გარეშე ახორციელებენ ებრაელი ხალხის და ისრაელის სახელმწიფოს საკეთილდღეო ღონისძიებებს, ამასთანავე ჩვენთვის ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ და დავიცვათ საქართველოს იტერესები, სადაც ამდენი საუკუნეა ებრაელები მშვიდად და ღირსეულად ცხოვრობენ.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა ვიზრუნოთ ყველა ებრაელის, განსაკუთრებით საქართველოში დარჩენილი ებრაელების საკეთილდღეოდ, არ ვყოფთ მათ სეფარადებად, აშკენაზებად, ხაბადნიკებად და ასე შემდეგ, ჩვენ ყველანი ვართ ებრაელები და ეს არის ჩვენთვის მთავარი, ამისათვის უნდა გავერთიანდეთ როგორც საქართველოს ებრაელობა, ასევე ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან ტურისტულად თუ ბიზნესის საკეთილდღეოდ ჩამოსული ებრაელები, ბოლო წლებში კი მათი რაოდენობა დღით დღე იზრდება, საქართველოს სინაგოგებში ყველა პირობაა მათ დასახვედრად. თვალს უხარია ზაფხულის თვეებში მლოცველებით გადაჭედილი სინაგოგების დანახვა, რაც ჩვენში წარსულ წლებში არსებულ სიტუაციას გვახსენებს... მაგრამ სამწუხაროდ ბოლო ხანებში ძირითადად ისრაელში ნასწავლი ახალგაზრდა

რაბინებისა, ბიზნესმენთა და სხვა პირების მხრიდან არის მცდელობები, რომ შეცვალონ მრავალი საუკუნეების მანძილზე ბუნებრივად ჩამოყალიბებული მრავალსაუკუნოვანი მინაგები ხისტი მეთოდებით, ასევე ცდილობენ ებრაული ცენტრების გადატანას სინაგოგებიდან, მათ მიერ დროებით დაქირავებულ თუ შესყიდულ შენობებში დარეგისტრირებულ ყურისმომჭრელი სახელწოდებების ორგანიზაციებში, ისინი ყველა მიღებული თუ მიუღებელი ფორმით მოქმედებენ მიზნის მისაღწევად, ყოველივე ეს პირველ რიგში ემსახურება მათ პიროვნულ აღზევებას და მათი „ბიზნესის“ თუ პარტიული ინტერესების გატარებას, ისინი მართავენ სხვა და სხვა სანახაობრივ და საქველმოქმედო ღონისძიებებს, რასაც მეტ წილად სარეკლამო დატვირთა აქვს, ხშირად ასეთ ღონისძიებებს ამთხვევენ რელიგიურ დღესასწაულებს და სხვა თარიღებს, ეს კი ხშირად იწვევს ხალხში გაუგებრობას, რადგან ჯამათის წევრები დგებიან არჩევანის წინაშე თუ რომელ ღონისძიებას უნდა დაესწრონ. სარგებლობენ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკური სიტუაციით და სტიპენდიების, საგზურების, პრიზების დარიგებით და ფურმეტების გამართვით გარკვეულწილად აღწევენ მიზანს, რის შემდეგაც საზეიმოდ აბარებენ პატაკს დამფინანსებლებს და უქმნიან ილუზიას მათ პროგამებში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობის სიმრავლეზე და აქედან გამომდინარე დაფინანსების გაზრდის საჭიროებაზე. ასეთი ქმედებებით ცდილობენ პირადი პერსონის წარმოჩენას, რელიგიური და ერის წინამძღოლის ამპლუაში დამკვიდრებას ხალხში, რაც ნაცვლად გაერთიანებისა იწვევს ისევე მცირერიცხოვანი ებრაელების

დაქსასვას. გვესმის მავანთა აზრი რომ ჩვენი დღევანდელი ქმედებები ძველმოდური და პროვიციულია (კულაშური, ახალციხური, სურამული და ასე შემდეგ) იაფ ფასიანი ელფერი დაჰკრავს, — მათი აზრით ასეთი ღონისძიებები კუთხური ორგანიზაციების, ისრაელისათვის არაფრის მომცემი ღონისძიებებია, ასევე დარწმუნებით გვმოძღვრებენ რომ თურმე საქართველოს ებრაელები ბოლო 27 წელი ცდილობენ ისრაელისაგან მხოლოდ სარგებლის მიღებას და არაფრის გაცემას, ამ პიროვნებებს არ მოსწონთ ქართულ-ებრაული ურთიერთობების დღევანდელ მაღალ რანგში ყოფნა, სოციალურ ქსელებში ეძებენ და შემდეგ ტირაჟირებას უწევენ ზოგიერთი არაკეთილმოსურნის ანტისემიტურ გამონათქვამებს, რითაც ეჭვქვეშ აყენებენ ჩვენს მრავალ საუკუნოვან თანაარსებობას და მეგობრობას ქართველ ხალხთან, თუმცა თვითონ ბიზნესის კეთების დროს თუ სხვა სფეროში მოღვაწეობით მაქსიმალურად სარგებლობენ ამ სიკეთით, ჩემთვის მიუღებელია რომ ვიღაცაზე თუ რაღაცაზე განაწყენებული ადამიანები თავის წარმოჩენის მიზნით აკინებენ ქართველი ებრაელების როლს ისრაელის ცხოვრებაში, ჩვენი რელიგიური ტრადიციების შენახვა-განმტკიცების საქმეში, თუნდაც ისრაელის სახელმწიფოს საკეთილდღეო ქმედებებში. მათ ავინყდებათ რომ სწორედ საქართველოდან, სწორედ კათ მიერ ირონიით მოხსენებული მათ შიგნიდან გაირღვა საბჭოთა კავშირის უძ-

ღველი რკინის კედელი, სწორედ სამოცდაათიან წლებში და არა 1989 წელს გახდა საქართველო ალიის ცენტრი, რამეთუ მაშინ ეს იყო გმირობის ტოლფასი. მიზეზებს რათა და ისინი ვერ ხვდებიან რომ ჩვენ ძველი მინაგების დაცვით უპირველესად პატივს მივავებთ ჩვენი წინაპრების ხსოვნას. სალოცავების გარშემო შეკავშირებულ ვისაც ეს ავინყდება ვურჩევ გაცნოს ბატონების გურამ ლორთქიფანიძის და იაკობ ოფირი-ეფრემაშვილის მიერ გამოცემულ ნაშრომს „ახალი საარქივო მასალები ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე“ სადაც ნათლად არის ასახული თუ რის ფასად უწევდა ებრაელობას თორის სწავლა და ისრაელის ერთგულება. ისინი ვერ ხვდებიან რომ ჩვენ ძველი მინაგების დაცვით უპირველესად პატივს მივავებთ ჩვენი საერთო წინაპრების ხსოვნას, რამეთუ არ არსებობს ანმყო და მომავალი წარსულის გარეშე. ჩვენთვის საამაყო ჩვენი წინაპრების და განსაკუთრებით ქართველ-ებრაელი ხახმების მოღვაწეობა, ამიტომ მოგინოდებთ რელიგიურ პირებს რომ ხშირად გავისხენოთ მათი მოღვაწეობა, ასევე მოგინოდებთ ყველა ებრაელს არ დავიშუროთ ძალა და ენერგია, ვიღვანოთ საქართველოში ებრაელთა საკეთილდღეოთ და გასაერთიანებლად, რაც საერთო ჯამში დადებითად აისახება ისრაელისა და საქართველოს სახელმწიფოების გაძლიერებაში და დადებით როლს ითამაშებს ორი მეგობარი ქვეყნის ურთიერთობებში.

ბიორბი ბარნუშტინი: „არავინ ხართ და არც თქვენი ბოდვაა აქტუალური!“

ისრაელის სახლის კონცეფცია - ესაა უნივერსალური მოდელიც და ნიმუშიც ისრაელელისთვის და გარეთ მყოფი ებრაელობისთვის, პირველ რიგში, სწორად დაინახოს საჭიროებები ისრაელისთვის! დიახ, ისრაელისთვის, ვინაიდან ნებისმიერი სხვა რიტორიკა თუ საქმიანობა ფუჭია და ზოგჯერ საშიშიც, თუ ვექტორი მიმართული არ არის სამშობლოსკენ. ეს დაგვანახა ბევრმა ფაქტმა, დაგვანახა ტენდენციამ, როდესაც ებრაელობა გაუცხოვდა სიონიზმისგან და მისი გაგონებაც არ სურს! ნაწილი გახდა ოპორტუნისტი, თბილად რომ მეგრძნო თავი ადგილსამყოფელ ქვეყანაში; ზოგიერთი დღემუდამ სპეკულირებს რელიგიური ფრაზეოლოგიით, სინამდვილეში კი, ეს ყველაფერი მისთვის მხოლოდ რიტუალი და შირმაა! ყველა ერთად აღებული, რეალურად, ფარული პარტიკულარიზმის იდეოლოგიაა, რომელიც ებრძვის სიონისტურ სულს, ებრძვის ჰასბარას, მიგნიდან თუ გარედან ძირს უთხრის ისრაელს! ისრაელის სახლი, მისი კონცეფცია სწორედ რომ ნათქვამის ალტერნატივაა, რომელიც ორიენტირებულია ისრაელის ინტერესებზე. ეს დაადასტურა ისრაელის ისტებლიშმენტის დამოკიდებულებამ - ის უშუალოდაა მონაწილე ისრაელის სახლის საქმიანობის, მიუხედავად იმისა, ვინ რა პარტიულ პლატფორმაზე დგას. ადგილსამყოფელ ქვეყანასთან მიმართებაზე ან პირიქით, მისი ისრაელის სახლისადმი დამოკიდებულება ლაპარაკი? კი, ბატონო! - იხ. ბატონი პრემიერის ქრესტომატიული სიტყვა!!! ესეც საკმარისია!

და საერთოდ, ამ კონტექსტში, არავინაა წინააღმდეგი, ვინმეს ჰქონდეს სურვილი, იზრუნოს საქართველოს ინტერესებზე, რომელზეც ქართულმა მხარემ ისრაელის სახლის ღონისძიებაზე უკვე ილაპარაკა. და ეს ინტერესები სრულ თანხვედრაშია ისრაელის სახლის მიზნებთან! სხვა გზას, ბატონებო, აი, ნამდვილად რომ მესამე მხარის ძალის ინტერესებამდე მივყავართ. მე არ ვიცი, ვინაა ის,

მათ უფრო ეცოდინებათ, ვინც ემიჯნება ისრაელის სახლის კონცეფციას, ღონისძიებებს და მამასადამე, ემიჯნება ისრაელის ინტერესებს!!!

არადა, კარგა ხანია მავანს ძალიან აწვალებს პირადად ჩემი პოზიცია ამ საკითხებზე. ისრაელის სახლის ბოლო ღონისძიებებზე ავტორიტეტული საზოგადოების აზრმა და რეზონანსმა ამ ადამიანებს გაუგზავნა მესიჯი: არავინ ხართ და არც თქვენი ბოდვაა აქტუალური! მიზეზიც მარტივია: არაფერი აქვთ მათ საერთო არც ისრაელ-საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობებთან, და მით უფრო ისრაელთან!

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ზედმეტი ფორმლობის გარეშე, ვულოცავ იციკ მოშეს ამ დიდ წარმატებას. ვინც ისრაელზე ფიქრშია, იცის, რა ფურცელი გადაძალეთ ისრაელის ისტორიაში ისრაელის სახლით, მსგავსად სსრკ-ში პირველი შემოსვლისა, დიდი ალიითა... და ბოლოს ჰასბარას უპრეცედენტო კამპანიით. ეს ბოლო სიტყვა, დარწმუნებული ვარ, ზოგიერთმა ახლა გაიგო, ნაიკითხა და მისი მნიშვნელობა მაინც ვერ გაიაზრა. ვერც გაიაზრებს, ვერასოდეს, ვინაიდან მე ეს ხალხი არ მინახავს იქ, იმ საქმეში, რომელმაც ჩვენი სამშობლოს - ისრაელის პოლიტიკური და იდეოლოგიური ელიტაც კი ალაფრთოვანა. დარწმუნებული ვარ, მას ტამს დაუკრავდნენ ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელებიც!

სხვა ყველაფერი, ბატონებო, ბოდვაა და მახსენებს ერთ გამონათქვამს, რომელიც ასე ბოლოვდება „...წისქვილმა ფქვასო“!

PS.
მე პირადად იციკ მოშეს ვურჩევ, ბ-ნო იციკ, უნდა იამაყოთ თქვენი განვლილი გზითა და ყოველდღიურობით, რადგან მისი საქმით ამაყოფს ყველა პატრიოტი ისრაელელი/ებრაელი, მაღალავტორიტეტული ლიდერები.



მაქვს მოკრძალებული რჩევა: კარგი იქნება თუ თქვენს პოტენციალს უფრო ბიზნესსაც დაუთმობდით. ამით უფრო მეტი ფინანსური რესურსის გაღებას შეძლებდით საქვეყნო საქმისთვის, როგორც გჩვევიათ ხოლმე.

ბიორბი ბარნუშტინი

რედაქციისაგან: თბილისის ქართველ ებრაელთა სალოცავის—ბეით ქნესეთის გაბაის მ. ჩანჩალაშვილს წინამდებარე ტექსტი ხანუქის დღეებში ისრაელიდან სტუმრად ჩამოსული სტუმრების წინაშე წარმოუთქვამს (სტილი უცვლელია). შემდეგ იგი ვრცელდებოდა ჯამათის წევრებს შორის. ალბათ, მკითხველი დაგვეთანხმება, რომ აქ წამოჭრილია, სათემო ცხოვრების მნიშვნელოვანი, მტკიცეულიც კი, საკითხები, იქნებ, ისეთი საკითხებიც, რაზე ხმამაღლა საუბარსაც ერიდებიან. ყველაფერი ეს წამოჭრის აუცილებლობას ვისაუბროთ როგორც ამ წერილში აღძრულ, ასევე სათემო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. გამოვეხმაუროთ, განვმარტოთ რამი ვეთანხმებით, ან რა მიგვაჩნია მიუღებლად მ. ჩანჩალაშვილის წინამდებარე წერილში, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისრაელელ სტუმრებთან მეხვედრისას ითქვა.

აქვე ვათავსებთ იციკ მოშეს მიერ დაარსებულ „ისრაელის სახლის“ თანამშრომლის გ. ბერნშტეინის წერილს, რომელიც შეფარდებით ეპასუხება მ. ჩანჩალაშვილს, ეს შეპასუხებაც ბევრ საკითხს აღძრავს, რაზეც ქართველმა ებრაელობამ უსათუოდ უნდა იმსჯელოს სასაუბრო ბევრია!

რას ვპოულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



ავიმელეხ როზენბლათი

მ ე ნ ო რ ა

ბრძენები დაობენ იმაზე, თუ რა გაიგო ითრომ ებრაელებთან მისვლამდე. არის აზრი, რომ ამაღლებთან ომის ამბავი შეიტყო. ასე წერია ზოჰარში. და რა გაიგო? - ის, რომ ამალეკი დამარცხდა. რა არის მერე ამაში? - ყველამ გაიგო, რომ ზღვა გაიპო, რომ ამალეკი დამარცხდა. გვეუბნება რაბი ზონენფელდი - რაშია ამალეკის ძალა? მან გააცივა ებრაელები. რის მიმართ? ნათქვამია - ნადი და ეომე ამალეკს ხვალ. ამალეკის ძალა არის "ხვალეში". თუ მეფე რაიმეს მიცემას პირდება, ადამიანი კი ეუბნება - ხვალ, ამით მეფის მიმართ უპატივცემობას გამოხატავს. რატომ არ შლის ებრაელი წიგნს, რატომ არ სწავლობს თორას? - ესე იგი არ თვლის, რომ ეს მნიშვნელოვანია. ყველას ესმოდა (ზღვის გაპოვის შესახებ, ამალეკთან ბრძოლის შესახებ), მაგრამ ამბობდნენ - ხვალ (დაეუახლოვდებით გამ-ნს). მხოლოდ ითრო მოვიდა. ყველამ შეიტყო, რომ ებრაელები ეგვიპტეიდან გამოვიდნენ, იქიდან გამოსვლა ხომ შეუძლებელი იყო. მაგრამ არავინ მოვიდა ითროს გარდა.

ალექსანდრიის ორი დაფა ქალის მექრდთანაა შედარებული. ქალი ხომ კვებავს რძით. თავისი არსით ეს სისხლია, რომელიც რძედ იქცევა. ეს კი ის საკვებია, რომელიც არ მთავრდება, მუდმივად განახლებადია. მაგრამ საჭიროა ჩვილი ბავშვი, იმისათვის, რომ რძე ჰქონდეს ქალს, რადგანაც დედას გაცემის სურვილი ამოდრავებს. როცა ჩვილი რძეს ნოვს, სისხლი ყოველთვის რძედ იქცევა. ხანდახან კი, როცა პატარას სძინავს, როცა ძალა არ აქვს, დედამ უნდა გამოაღვიძოს.

მიდრაში გვეკითხება - როგორ მიიღეს ათი მცენება? ხუთი ერთ დაფაზე და ხუთი - მეორეზე. "ანი ჰაშემ"-ის მოპირდაპირედ მეორე დაფაზე წერია - "არა ჰკლა". სისხლის დამღვრელი, თითქოსდა მეფის სახეობას აყენებს ზიანს. ეს მინიერ მეფეს ჰგავს, რომელმაც ბანაკში თავისი გამოსახულება გაავრცელა, მონეტები ასევე თავისი გამოსახულებით დაბეჭდა, ხალხმა კი დაამტვრია და გადაყარა ისინი. შეიძლება რაიმე ნივთით მოკლან, შესაძლოა - ხელით, მაგრამ სიტყვამაც შეიძლება მოკლას

ადამიანი. აქ ჩადებულია ის, თუ რამდენად ვხედავთ სხვა ადამიანში გამ-ნისეულ სახეობას და არ ვთვლით თავს სამყაროს მეპატრონეებად. საკითხი ეხება არა გამ-ნთან ჩემს დამოკიდებულებას, არამედ ჩემს დამოკიდებულებას მასთან, ვინც გამ-ნის სახეობითაა შექმნილი.

მეორე მცნებაა "და ნუ გეყოლება შენ სხვა ღმერთები". მის მოპირდაპირედ კი დგას მცნება - "არ იმრუშო". ის, ვინც ყავოდა ზარას (უცხო ღმერთებს) ემსახურება, თითქოს გამ-ნთან მიმართებაში მრუმობს. ან, მეორე მიდრაშის მიხედვით - თუ ადამიანი მრუმობს, გამ-ნი თვლის, რომ ის ყავოდა ზარას ემსახურება. შენ თუ ცოლ-ქმრის ურთიერთობებში ჩაერიე, მათ ერთიანობას შეეხე, გამ-ნის ერთადერთობას მიაყენე ზიანი.

მიდრაში განაგრძობს: „არ წარმოთქვა (განადიდო) გამ-ნის სახელი ტყუილუბრალოდ“ (იგულისხმება ფიცი) და მის მოპირდაპირედ ნათქვამია - "არ იპარო". ის, ვინც იპარავს, ბოლოს ტყუილუბრალოდ დაფიცებამდეც მივა. ქურდს სწამს გამ-ნი. ის ხომ ამ მცნების წინ მდგომ მცნებებს ასრულებს. როგორც ნათქვამია, ქურდი საქმის წინ ლოცულობს, რომ გამ-ნი დაეხმაროს. მაგრამ, თვლის, რომ გამ-ნისთვის ეს წვრილმანია. ტყუილად დაფიცებით ადამიანი ამბობს, რომ არა გამ-ნი, არამედ თავად ადგენს რა და როგორ უნდა გაკეთდეს. შენ წყვეტ, რა შეიძლება და რა არა? ჩვენ ვართ მეპატრონეები.

ნათქვამია "გახსოვდეს შაბათი დღე" და "ნუ დადგები ცრუ მონმედ". ის, ვინც შაბათს არ იცავს, თითქოსდა იმას ამტკიცებს, რომ გამ-ნს არ შეუქმნია ეს სამყარო ექვს დღეში და არ დაისვენა მეშვიდე დღეს. შაბათს არა მარტო აკრძალული სამუშაოების კეთება არ შეიძლება, არამედ უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფრისთვის, რაც გვაქვს გამ-ნმა მოგვცა ძალა. მაშინ შაბათს ისე დავინყებთ, თითქოს ყველა სამუშაო უკვე გაკეთებული გვაქვს. ამით ვხდებით იმის მონმენი, რომ გამ-ნმა დაისვენა.

და ბოლოს, "პატივი ეცი მამას და დედას შენსას" და, მოპირდაპირედ - "არ ინდომო". მას, ვისაც სხვისი რაიმე სურს, ბოლოსდაბოლოს გაუჩნდება ვაჟი, რომელიც მამას და დედას დაწყევლის და მისთვის უცხო ადამიანებს სცემს პატივს. "არ ინდომო" არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არ მოისურვო რაიმე, არ ინდომო ის, რაც სხვას ეკუთვნის. ეს როგორაა შესაძლებელი? თუ არსებობენ მამა და დედა, თუ არის სამყაროში იერარქია, რაც გამ-ნმა შექმნა, არსებობს მადლიერება, იმის შეგნება, თუ რა არის ჩემი და რა არის ის, რაც ჩემგან არაა, რასაც გამ-ნი ადამიანთა მეშვეობით მიგზავნის, მაშინ პატივი უნდა ვცე მათ, ვისი მეშვეობითაც მოაქვს გამ-ნს ეს სიკეთე ამ სამყაროში. ამიტომაცაა, რომ ის, ვისაც "სხვისი უნდა", ისეთ ვაჟს გააჩენს, რომელიც არ გრძნობს ვალდებულებებს, მადლიერებას მათ მიმართ, ვინც მოავლინა ამ ქვეყანაზე და ბევრი რამ მისცა.

ზემოთ მოყვანილი შედარებით ალწერა გვიჩვენებს, თუ რატომ მოგვეცა ალექსანდრიის ორი დაფა. რამდენადაც ადამიანს სჯერა გამ-ნის, მისი ერთადერთობის, იმდენად ის მონმდება თუ როგორ ასრულებს იმას, რაც მეორე დაფაზეა დაწერილი.

როდესაც ებრაელები თორას ლებულბადენს, ხმებს ხედავდნენ, ხედავდნენ იმას, რაც ჩვეულებრივ ესმით. ებრაელებმა სინას მათთან მისვ-

ლისას დაკარგეს გრძნობის ორგანოები ჩვენიეული გავებით. და, ებრაელებმა უთხრეს მოშეს - "შენ გველაპარაკე და ჩვენ მოგისმენთ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, არ შეგვიძლია ხმების დანახვა". მოშემ მათ უპასუხა - "ნუ გეშინიათ, გამ-ნი იმიტირებს აკეთებს ამას, რომ აგამალოთ იმისათვის, რომ არ შესცოდოთ. გამ-ნს სურს იმ დონემდე აგიყვანოთ, როცა ხმების დანახვა თქვენს ნაწილად იქცევა. „რა განსხვავებაა ხედვასა და სმენას შორის? როდესაც ვუყურებ და, კონცენტრირებას ვახდენ ვინმეზე ან რაიმეზე, ვხედავ ყველაფერ იმას, რაც ჩემს თვალსაწიერში ხვდება. მაგრამ მესმის მხოლოდ ერთი ხმა, ორი ხმის მოსმენა გავების აზრით შეუძლებელია. ეს იმიტირებს, რომ ხედავს განსხვავებით, როცა სრულ სურათს ვხედავთ, სმენისას ვაერთიანებთ ბგერებსა და სიტყვებს, შემდეგ სიტყვებს - წინადადებებში და ასე თანმიმდევრობით. მიტომაცა სმენა დაკავშირებული გავებასთან. ბავშვი ყველაფერს ხედავს, მაგრამ არ შეუძლია სიტყვების, წინადადებების წარმოთქმა. მას ესმის, მაგრამ არ შეუძლია ყველაფრის გაერთიანება. სინას მათზე ჩვენ თორას ვლტულობთ. თორა კი ყველაფერი, მასში ყველაფერი გაერთიანებული, ის უსასრულოა. მაგრამ, ამავედროულად ის დეტალებშიც უსასრულოა. მასში მრავალი ხმაა, მრავალი რამ, რაც ჩვენთვის ერთმანეთის სანაწაღმდეგაა. და ჩვენ, ხშირად დეტალების დიდი რაოდენობის გამო მთელს ვერ ვხედავთ. და, პირიქით, მთელის გამო ხანდახან დეტალებს ვერ ვამჩნევთ. მაგალითად, შაბათს უდიდესი სულიერი შინაარსი აქვს, მეორეს მხრივ კი - დეტალების სიმრავლეც - კლი რიშონ (პირველი ჭურჭელი), კლი შენი (მეორე ჭურჭელი), როდისაა შესაძლებელი საკვების ცეცხლზე დაბრუნება და, როდის - არა, რა შეიძლება გავიპანოთ და რომელ შემთხვევაში და რა - არა და ა.შ. რა ხდება სინას მათთან? ის-ტიორიაში ერთად-ერთხელ ხალხი ხედავს ხმებს. იქ ხედავდნენ, თუ როგორაა დაკავშირებული ყოველი დეტალი მთელ სურათთან. ეს ძალიან რთული გადასატანია, რადგან თურმე ყველაფერი ღვთებრივია, საკუთარი არსი არაფერს არ აქვს. მაშინ მე სად ვარ? მე სივრცე მესაჭიროება, დისტანცია. ამიტომაც წერია, რომ ხალხი დაშორდა, დაიხია რალაც მანძილზე. და უთხრეს ებრაელებმა: „შენ გველაპარაკე მოშე, ჩვენ კი მოგისმენთ“, როგორც ნათქვამია, „გავაკეთებთ და გავიგებთ“. მხოლოდ მოშეს შეეძლო იმ დონეზე დარჩენა. როგორც ვხედავთ, როცა გამ-ნი მოშეს მიმართავს და ეუბნება „მოშე მოშე“, როგორც თორაში წერია, „მოშესა და მოშეს“ შორის ტირე არაა. ავრაჰამის შემთხვევაში კი ტირე არის. ბრძენები გვიხსნიან, რომ ყოველ ჩვენგანს აქვს ავრაჰამი ზედა სამყაროში და ქვედა სამყაროს ავრაჰამი, არის მანძილი მათ შორის. მხოლოდ „მოშე მოშე“ დისტანციის გარეშე. ამიტომაც უთხრა ხალხმა, რომ ეს მისი ადგილი იყო, მათ არ შეეძლოთ იქ ყოფნა. მოშემ კი უპასუხა: „ნუ გეშინიათ, გამ-ნს სურს, რომ ყველა ამ დონეზე იყოთ. ერთის მხრივ, ჩვენმა სულმა იცის ეს. მაგრამ ადამიანს ესმის, რომ ისეთი, როგორიც თავის სხეულთან ერთადაა, შორსაა საკუთარი სულის გაგებისაგან. ამიტომაც ხალხი გადაადგილდა რალაც მანძილზე, მოშე კი ნისლში შევიდა. ნისლად ამას ჩვენ ალვიქვამთ, მოშესთვის კი შეხინის ადგილია, ადგილი, სადაც შეიძლება თორის მიღების გაგრძელება.



დი" - თბილისში დაფუძნებული „ხესედი ელიაჰუ“, მართლაც, გამოირჩეოდა იმ დროისათვის არსებული ყველა „ხესედები“-საგან თავისი განსაკუთრებული სიტობითი და გულისხმიერებით, ებრაული ტრადიციებისადმი სათუთი მიდგომით, მოხუცებთან დამოკიდებულებაში უშუალოდ და სიტობითი. (თუნდაც იმის გახსენება რად ღირს, რომ ჩვენ ეზოში გვეყავდა თხა სახელად „მამა“, რომლისთვისაც თითქმის ყველა მოხუცს დილაობით მოჰქონდა ბალახი და ეს ქმნიდა განსა-

კუთრებულ თბილ, ადამიანურ ატმოსფეროს). ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ამას განსაკუთრებით სიტობითი აღნიშნავდნენ „ხესედი“-ს მრავალრიცხოვანი სტუმრები, როგორც ისრაელის „ჯოინთი“-ს ცენტრალური ოფისიდან, ასევე უცხო ქვეყნებიდან მოსულებსათვის, რომლებიც „ხესედი ელიაჰუ“-ს საკმაოდ მრავლად ჰყავდა.

ცხადია, ყოველივე ამის შექმნაში უკლებლივ ყველა თანამშრომლის უდიდესი დამსახურებაა - რიგითი თანამშრომლიდან დანწყული პროგრამის დირექტორებით დამთავრებული. მე ამ გადასახედიდან კიდევ ერთხელ ვუხიდი გულწრფელ მადლობას თითოეულ მათგანს, რომელთა დაუღალავმა და ზოგჯერ ენთუზიამზმზე დამყარებულმა შრომამ „ხესედ ელიაჰუ“ მართლაც, გადააქცია საქართველოს ებრაელების თბილ სახლად.

მადლობა ყველას!!! არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, „ხესედი ელიაჰუ“ არ აღმოცენებულა ცარიელ ნიადაგზე. საქართველოს ებრაელობას და პირველ რიგში ქართველ ებრაელებს, ებრაული ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი სახელოვანი ისტორია აქვს. (მახსენდება, რაბი იაზხელ მონვალდის ვიზიტის დროს რომელიც 1996 წლის ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში შედგა, მას გაუკვირდა კიდევ, რომ მიუხედავ

სიცოცხლისა და გაუსაძლისი პირობებისა, გორში დილის ლოცვაზე, შახრიტზე, მინიანი დახვდა). ქართველ ებრაელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ დიდი საქველმოქმედო და ჰუმანიტარულიური საქმიანობით.

ვულოცავ „ხესედი ელიაჰუ“-ს 20 წლისთავის იუბილეს!

ვუსურვებ ყველა მის სამეურვეო პირს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ყველა თანამშრომელს - წარმატებას და ბედნიერებას და ვისურვებდი, უახლოეს მომავალში ისე გაუმჯობესებულიყოს საქართველოში სოციალურ-ეკონომიური სიტუაცია და ვითარება, რომ „ხესედი ელიაჰუ“-ს ძირითადი მიღწელების სფერო გამხდარიყოს მხოლოდ სათემო და სოციალური პროგრამები.

და ბოლოს, ალბათ „ხესედი ელიაჰუ“-ს შექმნის ყველაზე უკეთეს შეფასებად გამოდგება რაბი არიელ ლევიზის სიტყვები, რომელიც მან მთხრა ხესედის შექმნიდან ერთი წლის შემდეგ: „რაც „ხესედი ელიაჰუ“ შეიქმნა საქართველოში ებრაელი მიმშობლით უკვე ალარ კვდება“.

მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ამ საქმეში ჩემი მცირეოდენი წვლილიც არის ჩემს თანამშრომლებთან და თანამოაზრეებთან ერთად.

გილოცავთ !!!! გაიხარეთ!!!!

ყველაზე მდიდარი „რუსი“ ემიგრანტის მამული 100 მილიონ დოლარად იყიდება

ლონგ აილენდის ჩრდილოეთ სანაპიროს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძვირადღირებული სახლი 100 მილიონ დოლარად იყიდება. ეს მამული ამერიკაში „რუსული“ ემიგრაციის პირველი თაობის ყველაზე მდიდარ წარმომადგენელს — ნიუ-იორკის საამშენებლო კომპანიის — The Sapiro Organization-ის პრეზიდენტს — ტიმურ საპირს ეკუთვნოდა.

პატარა ქალაქ კინგს-პონტის ამ მამულის ფართობი 8 აკრია. იგი მანჰეტენიდან 25 მილითაა დაშორებული. ამ ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაღებსა და გაზონებს უჭირავს. გრძელ მოვლილ მისასვლელ გზებს მამულის სხვადასხვა ინფრასტრუქტურასთან მივყევართ.

ამ მამულში მთავარი სახლი 1928 წელს აშენდა. ეს არის ქვის გლამურული, კომპლექსური ნაგებობა, რომელიც მრავალგზის იქნა რეკონსტრუირებული. დღეს ამ სახლში ფუფუნების თანამედროვე

საგნები სავსებით ხელმისაწვდომია.

ძირითადი შენობის შემდეგ მამულს კიდევ ორი სასტუმრო სახლი დამატა და საცხოვრებელი ფართობი თითქმის 60 ათას კვადრატულ ფუტსამდე გაიზარდა. სიმწვანით ტკობისათვის რამდენიმე ღია სივრცე მოეწყო.

ქვის იატაკის სამზარეულო ვიტრაჟებიან სახურავშია მოქცეული. დიდებული სააბაზანო ოთახების ინტერიერი მეტწილად მარმალისა და შუშაა. სახლის გარშემო მოწყობილია ბილიკები, სხვადასხვა ქვირთასი ქვითაა განწყობილი სოლიარები.

მთავარ სახლში გარდა საძინებელი და სასტუმრო ოთახებისა, არის საბანკეტო დარბაზი, საპარიკმახერო სალონი, ღვინის მარანი, დახურული კორტი, სატენიანო დარბაზი, სპა-ცენტრი, საუნა, დახურული ბასეინი, თოჯინების ორსართულიანი სახლიც კი.

ერთ-ერთ ნაგებობაში კი ბოულინგი და კაზინო განთავსებული. ეზოში ისტორიული, თითქმის ასწლოვანი ხეები ხარობენ. მამულის ტერიტორიაზე გაშენებულია რამდენიმე თემატური ხასიათის ბაღი: იაპონური, ინგლისური და ა.შ. მოჩქეფს ფანტანები, სანკტ-პეტერბურგის პეტერგოფის სასახლესავით, გზობავენ სტატუები. მამულში ასევე არის ტენისის მოზრდილი კორტი, მის გვერდით კი — ბასეინი.

ლონგ-აილენდ-საუნდის კერძო ნავმისადგომი დაიტევს 200 ფუნტის სიგრძის იახტებს..

ტიმირ საპირი, მისი ნამდვილი სახელი და გვარი თემურ სეფიაშვილი გახლავთ, თბილისში დაიბადა. 1973 წელს მეუღლესთან და დედასთან ერთად ამერიკაში დასახლდა. აშშ-ში 40 წლიანი ცხოვრების მანძილზე მან დიდი გზა გაიარა ტაქსის მძღოლობიდან მილიარდელობამდე.

გაზეთი „დავითის ფარი“ № 261



რედაქციისაგან: ალბათ, დიდი ვერაფერი სასიამოვნო ინფორმაციაა — იყიდება მამული, რომელსაც თანამედროვეობის ქართველ ებრაელთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელს, ქვინსის ქართველ ებრაელთა ბეით-ქნესეთის დიდ მოამბეს — თემურ სეფიაშვილს ეკუთვნოდა. მისი ნაადრევი წასვლა ძალზე გულსატკეპნი გახლდათ — ქართველმა ებრაელებმა დაკარგა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შვილი, რომელიც მას ჩინებული საქმიანობით, არა მხოლოდ რელიგიის მიმართულებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც, ასახელებდა — ღირსებას მატებდა.

მაგრამ ამ ინფორმაციას მაინც ვაწვდით „მენორას“ მკითხველს: გვაქვს ერთი მქრქალი, ძალიან სუსტი იმედი, რომ ქართველი ებრაელი კაცის მონაგარი ისევ რომელიმე ქართველ ებრაელს, ან ქართველ ებრაელთა პატარა ჯგუფს დარჩეს, იქნებ, ინებოს ღმერთმა და, ქართველ ებრაელობაში გამოჩნდეს ღირსეული პიროვნება, რომელიც ამ მამულს დაეპატრონება და თემურ სეფიაშვილის სახელსაც დააბრუნებს ქართველ ებრაელთა არეალში.

<p>დაფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57</p>	<p>რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასაგარეოლოში ბიპრ. რეგისტრაციის № 4/1-921</p>	<p>რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557  9771987898003</p>
---	---	--